ქარელის მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით ქარელის კულტურის სახლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული სამუშაოების საპროექტო მომსახურეობის შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო პირობები შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. ქარელი

2013 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება ---------- 3

2. ტექნიკური დავალება ---------- 6

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ---------- 7

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. ქარელის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია: ქარელის კულტურის სახლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული სამუშაოების საპროექტო მომსახურეობის შესყიდვა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 36000 (ოცდათექვსმეტიათასი) ლარს. (დღგ-ს გათვალისწინებით)

4. დაფინანსების წყაროა ქარელის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარი. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

6. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცახდებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამ მუხლის 5 და 6 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო
7. წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

(შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.)

9. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 1 მაისს 16^{00} საათზე.

10. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2013 წლის 24 აპრილი

11. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2013 წლის 1 მაისს 16^{00} საათზე.

12. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2013 წლის 1 მაისს 16^{00} საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ #3. ქარელის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (1 სართული, ოთახი 1).

13. საკონკურსო წინადადების ყველა გვერდი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული უნდა იყოს კონკურსის მონაწილის (ხელმძღვანელის) მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

14. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე), არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

15. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

16. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიმწოდებლის ხარჯით წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდეგ და შემსყიდველსა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

17. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

18. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.
- გასაწევის მომსახურეობის სრული ტექნიკური აღწერა. (არქიტექტორული კონცეფცია, ვიზუალი და კონცეფციის განმარტებითი ბარათი)
- კონკურსანტს უნდა გააჩნდეს ადმინისატრაციული ან საცხოვრებელი შენობის /შენობათა კომპლექსის სრული არქიტექტორული პროექტის შესრულების არანაკლებ 3 გამოცდილება სადაც დასაპროექტებელი შენობათა საერთო ფართი იქნება მინიმუმ 1 000მ^2, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებების (ნოტარიალურად დამოწმებული) და შესრულებული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტების ასლები
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.
- რეკვიზიტები დანართი 1 მიხედვით.

19. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

20. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 36000 (ოცდათექვსმეტიათასი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით) არ განიხილება.

21. საკონკურსი წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.6
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,1.
- ანალოგიური მომსახურების გამოცდილება: კოეფიციენტი – 0,2.
- მომსახურეობის მიწოდების ვადა: კოეფიციენტი – 0,1.

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

22. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათ თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

23. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან <u>45 (ორმოცდახუთი)</u> კალენდარული დღის განმავლობაში საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის წარმოდგენა.

24. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასტან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო– სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

25. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

26. დამატებით საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ქარეილი ნინოშვილის ქ#3. საკონტაქტო პირი ხათუნა ირემაძე, ტელ: 599703846

27. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

28. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები და არქიტექტურული დეტალები შეთანხმდეს ქარელის მუნიციპალიტეტთან.

29. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

იურიდიული პირებისათვის: 1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; 2) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ფიზიკური პირებისათვის: 1) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდიუუნარობის საქმის წარმოება 2) პირადობის მოწმობის ასლი.

(შენიშვნა: ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან საკონკურსო წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე)

30. გამარჯვებული კონკურსანტი იღებს ვალდებულებას გაუწიოს ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობის პროცესს მუნიციპალიტეტის შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქარელის კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის შედგენა.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1200000 (ერთიმილიონორასიათასი) ლარს.

შენიშვნა: საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც 3D ვიზუალით, ასევე პრეზენტაციის სახით.

1. არქიტექტურული პროექტი - შენობობის შიდა ფართი, დაახლოებით 600 კვ.მ. ჩასატარებელია შემდეგი სამუშაოები: მთლიანი შენობის რეკონსტრუქცია, სახურავის და ჭერის მოწყობა, დარბაზის რეკონსტრუქცია-რემონტი, სცენის რეკონსტრუქცია-რემონტი, კულისების, დერეფნის, ცენტრალური შესასვლელის, ოთახებისა და გარე ფასადის რემონტი, საძირკვლის გამაგრება, გათბობის სისტემის მოწყობა, საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, სკამების მოწყობა (არანაკლებ 500 ერთეული), სველი წერტილების და აბაზანის მოწყობა. ადმინისტრაციის და დამხმარე ოთახების რეკონსტრუქცია რემონტი.

2. კონსტრუქციული პროექტი

3. მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და შემოღობვის დიზაინის პროექტი.

4. წყალანირების პროექტი (შიდა და გარე წყალმომარაგების და კანალიზაციის)

5. შენობის შიდა და გარე ელექტრო მომარაგების პროექტი.

6. გაზიფიციერების პროექტი.

7. შენობის გაზის გამოყენებით გათბობის პროექტი.

8. ხარჯთაღრიცხვა.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან, ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით, რასაც დაადასტურებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1200000 ლარს. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი თანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულება № _____ პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქარელი ....2013 წელი

ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე ერთის მხრივ ქარელის მუნიციპალიტეტი (შემდგომში _ შემსყიდველი), საკრებულოს თავმჯდომარის პაატა ღვინიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ...(ს/კ .....)(შემდგომში _ მიმწოდებელი) ხელმძღვანელის ..... სახით, ჩატარებული N-------- კონკურსის გათვალისწინებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. ხელშეკრულების საგანია: ქალაქ ქარელში კულტურის სახლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული სამუშაოების საპროექტო მომსახურეობის შესყიდვა, რაც უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

2. საპატენტო უფლებები

2.1. საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებასთან.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული სამუშაოების გამოსწორება და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

3.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1. ჩაბარების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულებულ სამუშაოზე წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაცია და საგადახდო ანგარიშ-ფაქტურა.

5.2. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით წარმოადგენს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპრტიზის ეროვნული ბიუროდან'' ექსპერტიზის დასკვნას შესრულებული სამუშაოების შესახებ.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარებში

6.2. ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 ათი სამუშაო დღის ვადაში).

7. ფასები

7.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

7.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, კონკურსში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა), მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

11.3. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

11.4. მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

11.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა

ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

12.2. შესყიდვის განხორციელებისას სამუშაოს შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებელი ნაწილის 120%-ით.

12.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია

14.3 წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის

მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2013 წლის ..... ჩათვლით.

21. სხვა პირობები

21.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

22. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:

3. დამატებითი ინფორმაცია:

3.1 დამატებით საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ქარეილი ნინოშვილის ქ#3. საკონტაქტო პირი ხათუნა ირემაძე, ტელ: 599703846

დანართი 1

1. რეკვიზიტები:

კონკურსში მონაწილის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსში მონაწილის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

შესასრულებელი სამუშაოს ვადა:

2. კონკურსანტის ხელმოწერა .....

ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

#	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1					
2					
3					
სულ ჯამი					
ზედნადები ხარჯი%					
სულ ჯამი					
გეგმიური დაროვება %					
სულ ჯამი					
დღგ					
სულ ჯამი					

შენიშვნა: საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

კონკურსანტის დასახელება ----------

ხელის მოწერა ----------